წელიწადი მეორე ფასი 5 კაპ. პარასკევი, 15 აპრილი 1916 წ. № 83

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] 15 კ., უკანასკნელზე [illegible] გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი
წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.
**უპრემიოდ ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ. გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.
**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.
**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

სამშაბათს, შუაღამისას, აქიმოვის ქუჩაზე, შუა ბაზარში, ფრანგების საყდრის იქით და ებრაელთა სალოცავის პირდაპირ, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სტამბის ხელოსანი

**ალექსანდრე იაკობის ძე**

**მირაქოვი**

რისაც წუხილით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ **ევგენი ლუკას ასული, მარია ალექსანდრეს ასული ტარასოვისა და ფელიქს ალექსანდრეს ძე,** პირველი მეუღლე და მეორე შვილები. გამოსვენება სახლიდან იქნება შაბათს 16 აპრილს, დილით 9 1/2 საათზე შუაბაზრის რომის კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში და იქიდან კუკიას, წმ. ნინოს კათოლიკეთა სასაფლაოზე.

**სახალხო სახლი** (კ. ზუბალაშვილის სახელობისა)
**სამშაბათს 18 აპრილს 1916 წ.**
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
**ვ. შექსპირის** ცნობილი ტრაღედია

**მეფე ლირი**

5 მოქ. და 9 სურათად, თარგ. ი. მაჩაბელისა და ი. ჭავჭავაძისა.
**მონაწილეობას მიიღებენ:** ბეჟანიშვილი ს., ქიქოძე ანეტა, დავითაშვილი ნ., აბაშიძე ვასო, გუნია ვალერიან, თარალაშვილი ი., ზარდალიშვილი ი., იმხნელი გ., ვარვარიძე ვ., იმედაშვილი, კორიშელი პ., გვარაძე ნ. მამფორია ილ., სარაული კ. და სხ.
**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.** ✦ **რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.**
**ადგილების ფასი 15 კ.-დან 1 მან. 50 კ.-დე“.**
შემდეგი წარმოდგენა: **ჰამლეტი.** (3-85-1)

**ხარფუხის საზოგადო კლუბი**
(მიხაილოვის პროსპექტი № 129)
**პარასკევს,** 15 აპრილს, **საზანდარი**
**შაბათს,** 16 აპრილს, **სინემატოგრაფი**
**კვირას,** 17 აპრილს, **სიმებიანი ორკესტრი**
**დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.**
**სტუმრები შედიან საზოგადო წესით.**
(1-56-1)

**საგალანტერიო მაღაზია**
**ერ. ივ. ჭავჭანიძისა და**
**ი. ი. გველესიანისა**
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
**იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:**
**ჩულქეულობა, კოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი**
(101—წ.)

**ქ. ბაქოში**
**ღვინით ვაჭრობა**
**„მელაანი“**
**თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.**
**იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები**
(112—წ.)

**შეშის საწყობი**
**ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა**
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
**ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასში**
**საკუთარი ტყიდან**
**საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც**
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

**მოდური მაღაზია**
**გ. ზაშარულისა**
სასახლის ქუჩაზე
იშოვება ყველგვარი საუკეთესო რჩეული საქონელი
**მხოლოდ ევროპიული**
(—83—4)

**საუკეთესო კახური**
**ღვინის საწყობი**
**ადამ ზურაბის ძის**
**ბერელაშვილისა**
**მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.**
(102—წ.)

**ვაგზლის სამკურნალოში**
(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)
**სამკურნალოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.**
აგრეთვე ექიმი—ქალი **მარ. კონ. იოსელიანისა** მიიღებს **დედათა სნეულებით** ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.
(თ.—126—17)

18 აპრილიდან
**ვასწავლი**
ქართულ **„სიმღერა-გალობას“** ‍დ ვამზადებ მომღერალ-მგალობლებს, დიდ და მუდმივ სახალხო გუნდისათვის. მიღება და ჩაწერა
**მიხეილ კავსაძესთან**
(ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სკოლა.—ორშაბ., ოთხშაბ. ‍დ პარასკეობ. საღ. 6-9-დე).
**ვასწავლი მუშა ხალხსაც.**

**ექიმი-დოსტაქარი**
**გ. მ. მუხაძე**
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნის და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

**ექიმი**
**მ. დ. წინამძღვრიშვილი**
**ყ. ორდინატორი ხარკოვის** უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

**დოქტორი მედიცინისა**
მოსე ანთიმოსის ძე
**კალანდარიშვილი**
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.
**ტელეფონი, 17—21.**

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში,** ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
**ახალი აფთიაქი**
✦ **პროვიზორის ახვლედიანისა** ✦

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** 13 აპრ. ოფიციალი. **დასავლეთი ასპარეზი.** მტრის მფრინავებმა უსტ-დვინსკში და დვინსკში ყუმბარები ჩამოჰყარეს. დვინსკის მიდამოებში და პოსტოვის დასავლეთით მტერმა ზარბაზნის სროლა დაიწყო. სოფ. ჩრევოს სამხრეთით მტერი შეეცადა წინ წამოწევას, მაგრამ ამაოდ. ამ ადგილებში ამოქმედდნენ მტრის ჰაეროპლანებიც, ერთი ამათგანი კრევოს სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩამოვაგდეთ. სადგურ ბარანოვიჩ და ლუნინეცის შუა, და სადგურ გრანცევიჩში მტრის მფრინავებმა ყუმბარები ჩამოჰყარეს.

**კავკასიის ასპარეზი.** ოსმალთა შეტევა ერზინჯანის მიმართულებით მოვიგერიეთ.

—

**პარიზი,** 12 აპრილი. ოფიციალი. დღის ცნობა. მაასის დასავლეთ ნაპირზე, ზარბაზნის მკაცრი სროლის შემდეგ, გერმანელებმა რამდენჯერმე მოიტანეს იერიში ჩვენს ახალ სანგრებზე მორტჰომის მიდამოებში. ორი შეტევა მოვიგერიეთ, მესამეთ ასანთი სითხე იხმარეს, მაგრამ მტერი დიდი ზარალით უკუ ვაგდეთ და ისევ თავის თხრილებს დაუბრუნდნენ. ავოკურის მიდამოებში მტერმა ზარბაზნები აამოქმედა. მაასის აღმოსავლეთ ნაპირზე მტერმა ზარბაზნები დაუშინა ჩვენს პირველ და მეორე ბრძოლის ხაზებს. ამპრემონის ტყეში ხელის ყუმბარებით იყო ბრძოლა. ლორენში ჩვენ გავფანტეთ მტრის მზვერავი რაზმი, ნევილის სამხრეთით.

დღეს დილით დიუნკერკში მტრის მფრინავმა 6 ყუმბარა ჩამოაგდო. ზარალი ცოტაა.

**პარიზი,** 12 აპრილი. ოფიციალი. საღამოს ცნობა. მდ. ენის ჩრდილოეთით, ზარბაზნის სროლის შემდეგ, დღეს დილით ჰალა დავიჭირეთ, სამხრეთით ლა-ვად-ო-ბუადან. არგონებში ჩვენმა მძიმე ზარბაზნებმა მტრის საზვერავი ადგილი დაანგრია. „280“ სიმაღლესთან მტერმა ნაღმი ააფეთქა, მაგრამ ორმო ვერ ჩაიგდო ხელში, მხოლოდ სამხრეთით გამაგრდა. სიმაღლე „304“ და ენ-კიუმერის მიდამოებში ზარბაზნების სროლაა. მაასის აღმოსავლეთით სიწყნარეა. ვევრში, მულენკილის მიდამოებში, ზარბაზნების მკაცრი ბრძოლაა. ქვეითა ჯარის შებრძოლება არ მომხდარა. ლორენში ბადენვილერის სამხრეთ-აღმოსავლეთით, საარტილერიო ბრძოლის შემდეგ, მტერმა პაშაპელოტთან იერიში მიიტანა, მაგრამ ცეცხლით უკუ ვაგდეთ. ტყვედ წავიყვანეთ 15 კაცი, ამათში ერთი აფიცერი. ვერდენის მიდამოებში გერმანეთის ჰაეროპლანი პუავრის სიმაგრეებში ჩამოვაგდეთ, ვოკუასთან, ფორჟის ტყესთან და ატონშატოლის მიდამოებში. ჩვენმა დირიჟაბლმა 16 ყუმბარა ჩამოაგდო მტრის მიდამოებში.

**ლონდონი,** 13 აპრ. საადმირალო იტყობინება: გერმანელების ნაღმოსნები და კონტრ-ნაღმოსნები დილის 5 ს. ლევესტოფთან გამოჩნდნენ და ჩვენ მეზღვაურთ შეებნენ. 20 წ. ბრძოლის შემდეგ მტერი გაიქცა. ჯერ გამოირკვა, რომ ჩვენ ორი მსუბუქი კრეისერი და ერთი კონტრ-ნაღმოსანი დაგვიზიანდა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ტრაპიზონი**

ტრაპიზონის აღების შემდეგ გამოირკვა, რომ ოსმალთა ცოცხალი ძალა უვნებელი დარჩა, რადგანაც წინადვე მოასწრეს ციხიდან გასვლა დასავლეთით და სამხრეთ დასავლეთით. ტრაპიზონის დასაცავად კი მხოლოდ ჯარის ნაწილი იბრძოდა თურმე. სწორედ ამ გარემოებით აიხსნება ის, რომ ოსმალებმა თითქმის მთელ ბრძოლის ასპარეზზე იერიშები მოიტანეს და ლამობდენ ტრაპიზონისაკენ წინ წამოწევას. ტრაპიზონის ბრძოლა დასრულებულად არ ჩაითვლება, ვიდრე ოსმალთა ცოცხალი ძალა გასანადგურებელია. მეორე მხრივ ოსმალთა მოქმედება იმის მაჩვენებელიცაა, რომ მაშველი ჯარი მოუვიდათ. ინგლისის გაზეთები იუწყებიან: ოსმალთ მოუვიდათ 90 ბატალიონი მაშველი ჯარი არტილერიითაო. ოსმალთა მკაცრი შეტევა მიმართულია სივასი და ტრაპიზონისაკენ, მათ გერმანელებმა დიდძალი ავტომობილები გაუგზავნეს. სამხედრო პირებთა ვარაუდით აქ ათი დივიზია არ უნდა იყოს მოსული, რადგანაც ადგილობრივ პირობებში ამოდენა ჯარის გადაყვანა შეუძლებელია. თუმცა ცხადია კი, ოსმალთა დაქსაქსული ჯარი ვერ გაჰბედავდა შემოტევას, თუ მან ზურგი არ გაიმაგრა მაშველი ჯარით. ოსმალთ ტრაპიზონის დაბრუნება ფიქრადაც ვეღარ მოუვათ. მათი მიზანია რუსები შეაჩერონ დასავლეთის მხრივ. ოსმალთა ცდა ჯერჯერობით უშედეგოა.

**გერმანეთი და ამერიკა**

გერმანეთის მთავარ შტაბში ფონ-იაგოვის და ბეტმან-ჰოლვეგის, საზღვაო და სამხედრო მინისტრთა თანადასწრებით, თათბირი მოხდა ვილსონის ნოტის შესახებ. გერმანეთის პასუხს დიდის საიდუმლოებით ფარავენ. ბერლინში მღელვარებაა. გაზეთები არა ჰმალავენ, შესაძლებელია გერმანეთი ახალ ომში ჩაებას.

„ბერლინერ ტაგებლატი“ სწერს: მდგომარეობა გამწვავდა. გერმანეთს ომი არა სწყურიან და მზად არის დათმობის გზას დაადგეს, მაგრამ სხვათა მოთხოვნილებას არ შეასრულებს.

“Vossishe Zeit.“ ამბობს: ვილსონი ინგლისის სეკუნდანტად გამოვიდა და უნდა გერმანელს ხმალი გააგდებინოს მაშინ, როდესაც მტრისათვის გულში უნდა ჩაეცა. ვილსონის მუქარას სიფრთხილით განხილვა სჭირდება.

Lokae-Anzeiger“-ი სწერს: გერმანეთი მზათაა დათმობის გზას დაადგეს, მაგრამ თუ ვილსონი ფიქრობს წყალქვეშა ომს გაუმკლავდეს, ჩვენ ვუპასუხებთ: „ხელი განზე“!

**ამერიკის ცხოვრება**

„რუსკ. ვედ.“ ლონდონიდან ატყობინებენ: ამერიკის პრესა ალტაცებით ეგებება ვილსონის მოქმედებას და ჰპირდება ხალხის დახმარებას. გარეშე საქმეთა კომისიის თავმჯდომარე აღნიშნავს: დღემდე დიდ სახელმწიფოს მესვეურს მეორე სახელმწიფოსათვის ისეთი მკაცრი სიტყვებით შედგენილი ნოტა არ გაუგზავნია, როგორიც ვილსონმა გამოგზავნაო.

**ვერდენი და მისი მნიშვნელოვანება.**

ვ. როპშინი ვერდენის შესახებ გაზ. „რეჩ“-ში სწერს: ვერდენთან ბრძოლას დიდი სტრატეგიული და მორალური მნიშვნელობა აქვს. ომის დაწყებისასვე გერმანეთის მთავარმა შტაბმა საფრანგეთის დამარცხება განიზრახა და პარიზისაკენ წაიწია, მაგრამ გერმანელები მარნაზე დამარცხდნენ. დღეს კვლავ ფრანგების წინააღმდეგ ხელმეორედ გაილაშქრეს და ვერდენს მიადგნენ. ვერდენთან ბრძოლას ორი მიზანი აქვს: ან ბრძოლის ხაზი გარღვევა და მის შემდეგ პარიზის აღება, ან კიდევ ვერდენის დაბყრობის შემდეგ აქ გამაგრება. ორთავ შემთხვევაში გერმანელები საფრანგეთს თავს დაანებებენ და რუსეთისაკენ იზამენ პირს. შემცდარია ის აზრი, ვითომც გერმანეთი მოსტყუვდა, რადგანაც ისეთ დიდ სიმაგრეს შეუტია. ვერდენს გარდა მორალური მნიშვნელობისა სტრატეგიული მნიშვნელობაცა აქვს. წარმოვიდგინოთ, რომ ფრანგთა ჯარებმა მაასის სიმაღლეებიდან უკან დაიწიეს. ისინი იძულებულნი გახდებიან მდ. მაასზე გადავიდნენ, ხიდები კი არსად არის, გარდა ვერდენისა. მაშასადამე, ამ დიდ-ძალ ჯარს ვერდენზე გავლა დასჭირდება. განა ამ შემთხვევაში გერმანელებს არ შეუძლიანთ ფრანგებს გზა შეუკრან და გაანადგურონ იგინი? თუმცა ვერდენთან ბრძოლამ დაგვანახვა, რომ ფრანგები კვლავ შესძლებენ ვერდენის დაცვას.

**რუსები მარსელში**

რუსის ჯარის შესვლას საფრანგეთში დიდი მორალური მნიშვნელობა აქვს, რადგან პირველი მაგალითია ომის დაწყებიდან რუსების და ფრანგების ძმური ხელის გაწოდებისა. გერმანეთის, ავსტრიის და ბულგარელთა ჯარების შეერთება კი დიდი ხანია უკვე მოხდა. რუსის ჯარის გადასხმა მარსელში ისე კი არ უნდა გავიგოთ, ვითომც ვერდენთან დაზარალებული ფრანგთა ჯარის შესავსებად დასჭირ-

დათ. ამგვარი შეხედულება შემცდარია და სიმართლეს არ შეესაბამება, მით უფრო რომ რუსის ჯარის გაგზავნა არ მოხდა იმ დროს, როდესაც ვერდენის გარემოცვა დაიწყო.

**ვილჰელმის შვილი ავგუსტი ბულგარეთში**

სოფიიდან იტყობინებიან: ვილჰელმის შვილი ავგუსტ-ვილჰელმი სოფიაში მოვიდა, სადაც პოლიტიკური მოღვაწენი და დეპუტატები ინახულა. მან მამის სახელით გადასცა,—ბულგარელებს იმედი უნდა ჰქონდეთ გერმანეთის დახმარებისა, რომელიც მასთან ერთად ბოლომდე იბრძოლებს.

**ვილჰელმი ბულგარეთში წასვლას აპირობს**

სოფიიდან იტყობინებიან: ვილჰელმის შვილმა ავგუსტმა სოფიიდან წასვლისას განაცხადა, იმპერატორი ვილჰელმი მალე ბულგარეთს ესტუმრებაო. მაისში სახალხო კრების დეპუტატები და ბულგარელთა მინისტრები ბერლინსა და სხვა დიდ ქალაქებს ესტუმრებიან.

**ახალ დობრუჯიდან ბულგარები იხიზნებიან.**

რუმინეთის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ბულგარელებს ნება ეძლევათ ახალ დობრუჯიდან ბულგარეთში გადაიხიზნონ. გადახიზნულნი ჰკარგვენ რუმინეთის მოქალაქოებრივ უფლებებს. სამინისტრო საბჭოს ამგვარი დადგენილება შედეგია ბულგარეთის მთავრობის გამოსვლისა ბუქარესტში.

# ბრძოლის ველზე

**კავკასიის ასპარეზი,**

ტრაპიზონის ლაშქრობის ლიკვიდაციაზე ლაპარაკი ახლა რუს სამხედრო მიმომხილველთაც ნაადრევად მიაჩნიათ. ამის ერთი ნიმუშთაგანი დღეს ჩვენს გაზეთშიც იბეჭდება. მთელი ეს ამონაწერი დადასტურებაა იმ ეჭვებისა, რასაც ჩვენ გამოვსთქვამდით ჩვენს წინა მიმოხილვაში. ტრაპიზონის დაცემა და მის შემდეგ ოფიციალ მოხსენებათა სიმწირე თავისთავად ჰგულისხმობდა, რომ გამარჯვება დაცლილ ქალაქის აღებით დაგვირგვინებულა. უკვე რუსები აღარ ჰმალავენ, რომ ტრაპიზონი დროზევე დაუცლიათ და ქალაქის დაცვა მხოლოდ საარიერგარდო რაზმებისთვის მიუნდვიათ. საქმე გარკვევას მოითხოვდა. გვაინტერესებდა რეგულიარ ჯართა გადაკარგვა. უკანასკნელს ბილიუტენებში საიდუმლო გაკვრითი ცნობებით აიხადა. გამოირკვა, რომ მთავარს ძალებს ბაიბურთისკენ გამოუქუსლნიათ გაცილებით ადრე, ვიდრე ტრაპიზონი დაეცემოდა. აშკალა უკანასკნელი დის-ტანციაა, რომელსაც მთავარი შტაბი ახსენებს ხოლმე. აშკალა კოტურ-მამახათუნიდან 65 ვერსზე მდებარეობს, ხოლო აქედან აზრუმამდე 35 ვერსია. ...

**ვერდენის გარშემო.**

„ვერდენი ისაა ამ ომისათვის, რაც 1870 წელს პარიზი იყო მთლიან არმიისათვის", ასე მიმართა იმპერატორმა ვილჰელმმა მორტომზე ერთ ერთ იერიშის მიტანის დროს. ...

# საქართველოს ეკონომიური ცხოვრების მასალები

(გაგრძელება. იხ. „საქრ." № 82)

შემდეგი საკითხი, თუ რა პროცენტუალურ განწყობილებაშია დათესილ სიმინდის რაოდენობა სხვა მარცვლეულობათა რაოდენობასთან, თუ რა როლს თამაშობს ჯერ კიდევ ჩვენი სოფლის მეურნის წარმოებაში სიმინდი. ამ საკითხის გასაშუქებლათ მივმართოთ ისევ ციფრებს:

| წლები | სულ დათესილი | აქედან სიმინდის ოდენობა | დათესილ სიმინდის პროცენტული რაოდენობა. |
|---|---|---|---|
| 1909 | 868,781 | 597,547 | $68,_{77}$ % |
| 1910 | 605,330 | 496,842 | $82,_{07}$ % |
| 1911 | 604,474 | 469,268 | $77,_{63}$ % |
| 1912 | 606,089 | 450,586 | $74,_{34}$ % |

მაშასადამე სიმინდის დანარჩენ მარცვლეულთან შედარებით სამინდოს უპირატესობა სოფლის მეურნეობაში ... მაგრამ ეს უპირატესობა ... დიდ რყევას განიცდის.

1907 წლის დათესილ სიმინდის რაოდენობა მხოლოდ $66,_{11}$%-ით სჭარბობდა დანარჩენ მარცვლეულობას; 1910 წელს კი მოვლი $82,_{07}$%-ით ...

| | 1909 წ. | 1910 წ. | 1911 | 1912 |
|---|---|---|---|---|
| სიმინდის დათესილი დესეტ. | 20.313,[illegible] | 19.888,[illegible] | 19.918,[illegible] | 19.361,[illegible] |
| მოსავალი ფუთ. | 3.178,404 | 5.546,602 | 4.392,420 | 4.740,433 |
| ... | 2.469,540 | 4.424,924 | 3.491,071 | 4.114,705 |
| ... | 943,383 | 954,100 | 2.029,900 | 2.049,900 |

**თბილისი, 15 აპრილი.**

ჩვენმა გაზეთმა გამოაშკარავა ... რომელიც ...

| წლები | ... | ... | ... |
|---|---|---|---|
| 1908 | 4.520 | 4.679,4 | 311.045 |
| 1909 | 5.386 | 6.577,8 | 439.285 |
| 1910 | 6.750 | 8.437,7 | 544.240 |
| 1911 | 6.261 | 7.525,0 | 444.770 |

# აჯანყება ირლანდიაში

ლონდონიდან ერთად სიკეთელოვნ ... ირლანდიური ...

| წლები | ... | ... | ... |
|---|---|---|---|
| 1908 | 3.066 | 408 | 24.884 |
| 1909 | 3.033 | 373 | 24.787 |
| 1910 | 3.243 | 388 | 32.434 |
| 1911 | 3.246 | 531 | 46.079 |

# დეპეშები

(სეტროგრადის საკუთარ კორესპ.)

| წლები | ... | ... | ... |
|---|---|---|---|
| 1908 | 1.084 | $147,_{5}$ | 6.828 |
| 1909 | 1.032 | $199,_{4}$ | 7.984 |
| 1910 | 1.530 | $366,_{3}$ | 18.342 |
| 1911 | 1.476 | $377,_{4}$ | 12.806 |

(შემდეგი იქნება)

რუსეთის ასპარეზზედ ჰინდენბურგს მაშველი ჯარები მოსდის. რუსები შეტევას განაგრძობენ.

სრულიად რუსეთის სომეხთა ყრილობა ზაფხულისთვის გადაიდო.

—

ვენაში კონგრესზედ ავსტრიელებსა და გერმანელებს შორის შეთანხმება მოხდა მთავარ მუხლებში, საეკონომიო და საბაჟო ხელშეკრულობის საქმეში.

—

შვეციაში,გერმანოფილური მიდრეკილება ძლიერდება.

ლ. ჯ.

(პეტრ. სააგენტოს დეპეშები).

რუსეთის ასპარეზზე სოფ. კრევოსთან გერმანელები ამაოდ ცდილობენ წინ წაწევას. აქვე რუსებმა მტრის რამდენიმე ჰაეროპლანი ჩამოაგდეს.

—

კავკასიის ასპარეზზე ერზინჯანთან ოსმალებს იერიში მოაქვთ. რუსები იგერიებენ.

—

ვერდენთან გერმანელები 304 სიმაღლეს ზარბაზნებს გამუდმებით უშენენ.

—

დასავლეთის ასპარეზე ძლიერი ბრძოლაა ჰაერში.

—

გერმანელების და ინგლისის ფლოტს საზღვაო ბრძოლა მოუხდათ. ინგლისელებს დაუზიანეს ორი კრეისერი და ერთი ნაღმოსანი.

—

ლონდონიდან 12 აპრილს იტყობინებიან: ირლანდიის საქმეთა სტატს-სეკრეტარის ცნობით 11 აპრ. ნაშუადღევისას დუბლინში არეულობა დაიწყო. მრავალრიცხოვანმა ბრბომ იარაღით ხელში ჩაიგდეს სტიფენ-გრინის პარკი და ფოსტის სამმართველო. ახლო-მახლო მდებარე სახლებიც ხელში ჩაიგდეს. ტელეფონის და ტელეგრაფის მავთულები დაწყვეტილია, რის გამოც მუშაობა შეჩერებულია. გარდა ამისა მეამბოხეებმა ქალაქის 4—5 ნაწილი ჩაიგდეს ხელში. კურაგიდან სასწრაფოდ ჯარი დაიბარეს და წესიერება აღადგინეს. ჯერ-ჯერობით გამოირკვა, რომ მოჰკლეს 3 აფიცერი, 4—5 ჯარის კაცი, 2 მოხალისე და 2 პოლიციელი, დაიჭრა 4—5 აფიცერი, 7—8 ჯარის კაცი და 8 მოხალისე. მეამბოხეთა ზარალი გამოურკვეველია. კორკი, ლიმერიკა, ენისტრილი და ტიპლერარიდან მოსული ცნობით ამ ადგილებში აჯანყება არ მომხდარა.

—

ლონდონი, 12 აპრილი. რეიტერის სააგენტო იტყობინება: დუბლინში ამბოხებამ ინგლისში დიდი მღელვარება გამოიწვია, თუმცა მშვიდათ შეჰხვდნენ ამ ამბავს, რადგანაც თემთა პალატაში განაცხადეს: რომ მთავრობამ შესძლო ამბოხების ჩაქრობაო. ირლანდიაში საკმაო ჯარია და მეამბოხეთა გამკლავება ადვილია. მდგომარეობა გამოირკვა და აგიტატორებიც გამოაშკარავნეს. ირლანდიელ ნაციონალისტთა ლოიალობა ეჭვს გარეშეა, რადგანაც მათი შვილებიც ათასობით იბრძვიან ინგლისის ჯარში.

—

ლონდონი 12 აპრილი. გუშინდელი ამბოხება ირლანდიაში დაკავშირებულია ინგლისზე ერთ ხანად საზღვაო და ჰაეროპლანთა თავდასხმასთან. რადგანაც ამ თავ-დასხმამ უშედეგოთ ჩაიარა და ირლანდიელთა ამბოხებას ადგილობრივი ხასიათი აქვს, ეჭვს გარეშეა ამბოხებას მალე ჩააქრობენ.

# ახალი ამბავი

✦ **სასახლეში.** მეფის ნაცვლის დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის მიერ სააღდგომოთ საუზმეზე მიწვეულ იქმნა თბ. გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თავადი კ. ნ. აბხაზი.

✦ **სადარბაზოდ.** 13 აპრილს მათი უმაღლესობანი დიდი მთავარი ანასტასია ნიკოლოზის ასული და დიდი მთავარი მილიცა ნიკოლოზის ასული სადარბაზოდ ბრძანდებოდნენ კნ. ე. ნ. ბაგრატიონ-მუხრან ბატონის და კნ. ღ. რ. ჭავჭავაძის მეუღლესთან.

✦ **წითელ ჯვრის** მთავარ-რწმუნებული ბ. გოლუბევი ტრაპიზონიდან თბილისს დაბრუნდა.

✦ **პირველი კრება.** კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათა კავშირის გამგეობა პირველად შეიკრიბა 13 აპრილს. გამგეობამ საზოგადოების თავმჯდომარედ აირჩია გ. ნ. ყაზბეგი, თავმჯდომარის ამხანაგად ე. ს. თაყაიშვილი, მდივნად გ. ე. ცინცაძე და ხაზინადრად გ. ს. რცხილაძე. გამგეობამ დაადგინა იშუამდგომლოს მეფის ნაცვლის წინაშე, ნება დართოს კავშირს 2 კაცი გაგზავნოს თავისს წარმომადგენლებად საერობო თათბირზე. კავშირის საქმის წარმოება დროებით მოთავსებულია წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში. ყოველგვარი წერილები ამ მისამართით უნდა გამოგზავნონ ვარ. ბურჯანაძის სახელობაზე, რომელიც კავშირის საქმის მწარმოებლად არის დანიშნული. ყველა საზოგადოებამ, რომელიც კავშირში წევრად შედის, თავისი წესდების 2 ცალი და წარსული წლის ანგარიში უნდა გამოგზავნოს.

✦ **სამოსწავლო ოლქის** უფროსი ბ. რუდოლფი თბილისს დაბრუნდა.

✦ **მევენახეობისა და მეღვინეობის** საგუბერნიო კომიტეტის სხდომა დღესაა დანიშნული. კრებამ უნდა განიხილოს კომიტეტის ხარჯთ-აღრიცხვა 1917 წლისა. გარდა ამისა უნდა მოისმინოს მოხსენება კომიტეტის მდივნის ვ. ი. რცხილაძისა—საჭირ-ბოროტო საკითხის შაბიამან-გოგირდის უშოვრობის გამო და თან მოახსენოს ყველა ის ზომები, რომელიც კავკასიის ყველა დაწესებულებათ მიუღიათ ამ საწამლებელ ნივთიერებათა შოვნაში და ალაგობრივ შემოტანაში.

✦ **მანუილოვის ლექცია.** დღეს, საღამოს 8 საათზე, არტისტიულ საზოგადოების დარბაზში ცნობილი პროფესორი ა. ა. მანუილოვი წაიკითხავს ლექციას რუსეთის [illegible] კულანდელ ეკონომიურ ურთიერთობების შესახებ. ლექციის შემდეგ პროფესორის პატივისმცემლები გაუმართავენ ნადიმს.

✦ **თავის ჩამოხრჩობა.** როგორც თბილისის გუბერნატორის კანცელარიის ატყობინებენ ქ. გორში თავი ჩამოუხრჩვია პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი ს. ქვემო-ბიჭარის მცხოვრებს ი. დულაშვილს.

✦ **მეფუტკრეთა კურსები.** საქართველოს ეკლესიის სამამასახლისოს დაადასტურა მოხსენება მღ. ალ. მიქელაძის და ალ. ჯალიაშვილის იმის შესახებ რომ ამ მოკლე ხანში მოწვეულ იქმნას კრება იმ სამღვდელო საეკლესიო პირთა, რომელნიც ეპარქიაში ფუტკრის მოშენების საქმეს მისდევენ. ამ პირთ კავკასიის სააბრეშუმო სადგურში ერთი თვით უნდა გაუმართონ კურსები რაციონალურ მეფუტკრეობის შესასწავლად, როგორც თეორეტიულად ისე პრაქტიკულად. კურსები ნავარაუდევია სულ 50 კაცისათვის.

✦ **ქართ. სამეურნეო საზოგადოების** საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი ყაზახიშვილი და საბჭოს წევრი ვ. ი. რცხილაძე დღეს დილით საგარეჯოს მიემგზავრებიან სამეურნეო საზოგადოების კუთვნილ მამულის დასათვალიერებლად.

✦ **საგურამოს მამული.** ამ დღეებში საგურამოში გაემგზავრება მთელი კომისია ილიასეულ მამულის დასათვალიერებლად. კომისიაში შედიან კავკასიის სამეურნეო ნაწილის ინსპექტორი ბ ტიმოფეევი, თბ. ბოტანიკურ ბაღის დირექტორი ბ. როლლოვი და ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენელნი. კომისიას მიზნად აქვს წინასწარი გამოკვლევა მოახდინოს ამ მამულში არსებულ საწამლებელ მცენარეულობათა შესახებ.

✦ **ქალაქთა კავშირმა** არხანგელსკიდან 12 ჩასაჯდომი და 4 სატვირთო ავტომობილი მიიღო.

✦ **ბოტანიკურ ბაღში** სააღდგომოდ 3 დღის განმავლობაში 17.000 სული ყოფილა დასათვალიერებლად.

✦ **ახალი ბანკი.** კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის მთავარ საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, ცნობილმა ნავთის მწარმოებელმა იაკ. ალ. მანსვეტაშვილმა, აცნობა პეტროგრადიდან საორგანიზაციო კომიტეტს, რომ მაისში ჩამოვა თბილისში და ხელმძღვანელობას გაუწევს კომიტეტს ფულის შეგროვების და ბანკის ორგანიზაციის საქმეში.

✦ **ფქვილის** შემოზიდვამ თბილისში ისევ შესამჩნევად იკლო. ამ ჟამად მხოლოდ 1 კვირის სამყოფი ფქვილია თბილისში. ქალაქის გამგეობა საგანგებო მატარებლით მოელის ფქვილს, მაგრამ ჯერ არსადა სჩანს.

✦ **ქართული წარმოდგენა.** ორშაბათს, 17 აპრილს, სახალხო სახლში ქართველი მსახიობნი, ვალ. გუნიასა და ვიქ. გამყრელიძის მონაწილეობით, წარმოადგენენ შექსპირის „მეფე ლირს“. ლირის როლს შეასრულებს ვ. გუნია.

✦ **ბანკის კურთხევა.** გუშინ აკურთხეს პეტროგრადის საერთაშორისო ბანკის თბილისის განყოფილება, არამიანცის ახალ სახლში, ბარიათინსკის ქუჩაზე.

✦ **ყოვლად სამღვდელო გიორგის,** ეპისკოპოსს იმერეთისას თბილისიდან მიუღია შემდეგი უმაღლესი დეპეშა:

„გულის სიღრმიდან გმადლობთ მეუფეო თქვენ, და თქვენს სამწყსოს მოლოცვისათვის კავკასიის სახელოვან ჯარის მიერ ტრაპიზონის აღების გამო. ძლიერი სულითა და და ყველა ხალხისაგან ლოცვა-კურთხევით გამხნევებული ჯარი ჩვენი მზადაა კვლავ შეიმოსოს ღვაწლით სასახელოდ მეფისა და რუსეთისა“.

გენერალ-ადიუტანტი ნიკოლოზი.

ეს დეპეშა პასუხია იმ დეპეშისა, რომელიც გაუგზავნია მეფის ნაცვლისათვის ყოვლად სამღვდელო გიორგის ქუთაისიდან:

მრავალ რიცხოვან მლოცველთა თანადასწრებით გადვიხადე სამადლობელი პარაკლისი და აღვავლინეთ მხურვალე ლოცვა წინაშე უფლისა ჩვენისა, რომელმაც კვლავ მოგვანიჭა ახალი გამარჯვება მტერთა ზედა. ჩემისა და ჩემის სამწყსოსი სახელით მოგესალმებით, თქვენო იმპერატორებითი უმაღლესობავ, თქვენის უძლეველის ჯარების მიერ აღების გამო ტრაპიზონისა, ამ საქართველოს ლაზისტანის დედა ქალაქისა. ძალმა თქვენმა დაასრულა შემოერთება ქართველ ტომთა მფარველობასა ქვეშე რუსეთის სკიპტრისა. მიწა-წყალი თამარის სამეფოის ტრაპიზონის იმპერიისა თქვენის შეოხებით დაუბრუნდა მშობლიურ მხარეს. დიდება და სახელ[illegible] [illegible] კავკასიის მხედრობას, დიდება და სახელი მის დიად სარდალსაც.

✦ **მიხაბაძე ხაჭაპური.** ალექსანდრა ილიას ასულმა გვახარიამ 60 მანეთი წარუდგინა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, რათა ქართველ მოღვაწეთა პანთეონის დაარსების მონაწილეთა სიაში შეტანილ იქმნას სახელი მისი ქმრისა პოლკოვნიკის ვლადიმერ იოსების ძის გვახარიასი, რომელიც 1915 წელს 1 თებერვალს მტრის ყუმბარით იქმნა განგმირული გალიციაში.

✦ **პანთეონის სასარგებლოდ.** მიმდინარე აპრილში ქართველ მოღვაწეთა პანთეონის სასარგებლოდ შეიტანეს წერა-კითხვის საზოგადოებაში: ქ. ნ. მამაცაშვილმა 10 მან., ნინო ალ. მიქელაძემ 50 მან., ნ. ა. ტარსაიძემ 10 მან., დარია სოლ. გაბაშვილისამ 25 მან.

✦ **დეპუტაცია ეგზარხოსთან.** 13 აპრილს თბილისში ჩამოვიდა იმერეთის სამღვდელოების დეპუტაცია დეკ. გ. დოლაბერიძე, ბლაღ. მღვ. ი. ფანცხავა და მღვ. სპ. ლეკვეიშვილი და წარუდგენ მაღალ ყ-დ უსამღვდელოესს საქართ. ეგზარხ. პლატონს, რომელსაც მოახსენეს სიტყვიერად და წერილობით დასავლეთ საქართველოს ეკლესიის აუცილებელი მოთხოვნილებანი, საჭიროებანი და სამღვდელოების უკიდურესი გაჭირვებული ნივთიერი მდგომარეობა და სთხოვეს შესაფერისი შუამდგომლობის აღძვრა უმაღლესი მთავრობის წინაშე. მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ პლატონმა რწმუნებულნი კარგად მიიღო, აღუთქვა თხოვნის დაკმაყოფილება. თვით მაღალ ყოვლად სამღვდელო დიდი მომხრე ყოფილა სამღვდელოების ნივთიერათ უზრუნველყოფისა. იგი დიდ ხანს ესაუბრა სხვა სხვა საკითხზე. დეპუტაცია 14 აპრილს ქუთაისში დაბრუნდა.

✦ **მეწველ საქონლის გაცვლა.** კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოება სოფლის მეურნეთ ატყობინებს, რომ ვისაც ჰსურს ხბოიან მეწველ ძროხებში გასცვალოს თავისი შინაური საქონელი, უნდა გამოცხადდეს კვირას 17 აპრილს დილის 9 საათზე ქალაქის ძველ სასაკლაოზე. ამავე დღეს უნდა მიიყვანონ გასაცვლელი საქონელიც სასაკლაოს მოედანზე. შემოწმების შემდეგ საქონელს წონით გასცვლიან. რაც გასაცვლელ საქონელს წონაში დააკლდება, ფუთზე გადაიხდიან 6 მანათს. ბებერი, უკბილო საქონელი ან ჯანდაგი, არ მიიღება. არ მიიღებენ არც მეწველ ძროხას, არც ბერწს, არც დეკეულს 2 წლისაზე ნაკლებს.

✦ **თბ. საეპარქიო სანთლის ქარხანამ** გუშინ მიიღო მეორე ვაგონი სანთლის ცვილისა, რომელიც უწმ. სინოდის საოჯახო გამგეობასთან არსებულ კომიტეტმა გამოუგზავნა. პირველი ვაგონი 2 მარტს მოუვიდა ამავე კომიტეტისაგან. ორთავე ვაგონით სულ 200 ფუთი ცვილია მიღებული. საშუალოდ ფუთი ცვილი ქარხანას 32—35 მანეთი უჯდება. ადგილობრივ ცვილში ქარხანა დღეს 45 მანეთს აძლევს ფუთში.

✦ **ექსკურსია.** თბილისის „შევარდენის“ საზოგადოების წევრნი კვირას, 17 აპრილს საექსკურსიოდ მიდიან ოქროყანისა და ტაბახმელისაკენ.

✦ **ქალაქის არჩევნები.** როგორც გადმოგვცეს ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნებს ამ დღეებში უცვლელად დაამტკიცებს გუბერნატორი. განახლებული საბჭო მაისის პირველ რიცხვებში შეიკრიბება.

✦ **ერობის გარშემო.** თბ. ქალაქის საბჭოს საერობო კომისიაში გ. ჟურულმა წაიკითხა მოხსენება თბილისის გუბერნიის საერობო ბიუჯეტის შესახებ. კომისიამ დაადგინა ეს მოხსენება დაბეჭდოს და გამოსცეს.

✦ **შუამდგომლობა.** 14 აპრილს, ქართულ კულტურულ დაწესებულებათა კავშირის თავმჯდომარემ გ. ნ. ყაზბეგმა თხოვნით მიმართა მეფის ნაცვლის საბჭოს შესახებ იმისა, რომ კავშირს ნება მისცეს თავისს მხრივ 2 წარმომადგენელი გაგზავნოს საერობო თათბირზე, რომელიც 26 აპრილს დაიწყება. მეფის ნაცვლის თავმჯდომარეობით.

✦ **ქალაქის გამგეობა და საკვები მასალა.** ქალაქის გამგეობა თავისს მიერ შეძენილ ფქვილს ერთ-ერთ საკომისიონერო კანტორას აძლევს თურმე გასასყიდად. ეს კანტორა, რალა თქმა უნდა, ფქვილს ჰყიდის მოგებით და ამის გამო გამოცხვარ პურს ღირებულობა ემატება. გამგეობის ასეთი საქციელი სამართლიან საყვედურს იწვევს მეპურეების მხრივ. ამ გარემოებისათვის, როგორც ამბობენ, გუბერნატორს მიუქცევია ყურადღება და გამგეობას შეჰკითხებია,—რა მიზეზია, რომ ქალაქის თვითმართველობა საკომისიოდ სხვას აძლევს ფქვილს და პირდაპირ მეპურეებზე თითონ არ ჰყიდისო. ამბობენ, ამის შემდეგ გამგეობა კომისიონერის დაუხმარებლად მიჰყიდის მეპურეებს ფქვილსო.

თელავი.

3 აპრილს ზაქარა მახმელოვი დილით წავიდა თელავის ტყეში ორი საზიდრით შეშის ჩამოსატანათ. გავიდა ორი დღე და კაცი აღარ გამოჩნდა. მესამე დღეს მისი მოკეთენი წავიდნენ მოსაძებნათ და ბევრი ძებნის შემდეგ იპოვნეს უთავო კაცის გვამი, თავი კი აღარსად იყო. ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია ვისი ხელით უნდა იყოს ეს საცოდავი კაცი მოკლული, რომელიც მუდამ დღე შეშას ეზიდებოდა გასასყიდათ და იმით ირჩენდა თავს.

— აქ ძალიან გახშირდა ქუნთრუშა და ყივანა ხველა.

— ეს ორი კვირაა თითქმის განუწყვეტლივ მოსდით რუსეთის ფქვილები, როგორც შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობას, აგრეთვე კერძო პირებსაც ცოტა ნაკლებ ფასებშიც იყიდება მაგრამ მეპურეები მაინც არ აკლებენ ფასს გამომცხვარ პურს, ვიცი ბევრს გაუკვირდება და იტყვის როგორ თუ ცომს? დიახ პურის ადგილას ნამდვილი ცომია გირვანქა $7^1/_2$ კაპეიკათ მესამე ხარისხისა, ბაზრის მეპურეები იქ სადაც ხშირად პოლიციელები ყიდულობენ რიგიან პურს აცხობენ, განაპირა უბნის მეპურენი-კი ცომით ჰკვებავენ მცხოვრებთ.

# რა მდგომარეობაშია დღეს ივერიის ეკლესიის საკითხი?

წერილი XIII

**ალავერდის კათედრა და ქუთაისის სემინარია.**

წინა წერილში *) აღვნიშნეთ, რომ ერთი ჯგუფის მიერ გავრცელებული წარმოდგენა პიტირიმი ეგზარხოსის ვითომდა დიადი საქმეების შესახებ გაზვიადებულია; რომ პიტირიმი თავისდათავად მეტად კეთილი გულის ადამიანია, მაგრამ იმ ორად ორ საქმეზედ, რაც მის მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობამ გააკეთა ერთი წლის და ოთხი თვის განმავლობაში, დიდ იმედებს ვერ დავამყარებთ მეტქი.

ეს ორად-ორი საქმე გახლავთ ალავერდის საეპისკოპოსო კათედრის და ქუთაისის სასულიერო სემინარიის აღდგენა.

როცა ალავერდის კათედრის აღდგენას უსარგებლო და უაზრო მოვლენად ვთვლიდით, სახეში გვქონდა, რომ სახელი „ალავერდის ეპისკოპოსი“ უშინაარსო სახელადვე დარჩებოდა და აბუჩად აგდებული კახეთი წელიწადში მხოლოდ ერთხელ—ალავერდობას ეღირსებოდა თავისი მღვდელმთავრის ნახვას. უკანასკნელი წელიწადში თორმეტი თვე თბილისში იცხოვრებდა იმ უფლებით, რა უფლებითაც ცხოვრობენ აქა ერევნის და გორის ყოვლად სამღვდელონი.

მაგრამ, საბედნიეროდ და სასიხარულოდ, ჩვენი შიში არ გამართლდა. ჯერ უწმ. სინოდის 1915 წლის 17141 ნომრის უკაზმა **) გვამცნო და შემდეგ თვით ყოვლად უსამღვდელოესი პიტირიმის წაბრძანებამ დაგვიმტკიცა, რომ ალავერდის ეპისკოპოსი მართლა კახეთში იცხოვრებს, რაც, ყოველ ეჭვს გარეშეა, დიდ ამაგს დასდებს კახეთის ზნეობრივ - სარწმუნოებრივ განვითარებას და სამწყსოს ნელნელა დააბრუნებს იმ საყდრებში, სადაც დღეს დიაკვნის მოწყენილ და მომაბეზრებელ ღიღინს ცარიელი კედლებიღა უგდებს ყურსა.

ამ დღეებში კი პატივცემულმა დეკანოზმა კორნ. კეკელიძემ სრულიად მოულოდნელი, მაგრამ დიდად სასიამოვნო ამბავიც გვახარა. მან ინტერვიუს სახით გამოაქვეყნა გაზეთ „საქართველოში“, რომ მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას, საქართველოს აწინდელ ეგზარხოსს, არქიეპისკოპოსს პლატონს განუზრახავს გორის და ერევნის ვიკარები მათ სამწყსოში გაგზავნოს, თავიანთ ადგილას დაიბინაოს და ადგილობრივ საქმეს მიუჩინოს. სრული იმედი გვაქვს, რომ მ. კეკელიძემ სწორედ გადმოგვცა მის მიერ გაგონილი. ვიცით, რომ მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა მტკიცე აღმასრულებელია თავისი სიტყვისა და პრავის ართვეულს ტყუილუბრალოდ არას ეტყვის და არ დაპირდება. და ამიტომ ერთიღა დაგვრჩენია ვთქვათ: მადლობა ღმერთს! დიახ და ბარემაც დრო არის, რომ სამწყსომ საკუთარი თვალებით დაინახოს თავისი ეპისკოპოსები და დაივიწყებას მიეცეს სამარცხვინო ანეგდოტი: ჰაღლი ტიტია გორელ სომეხს ენაძლევებოდა, თუ შენს ჰაირიკას მიტრაკოპი ხურავს თავზედ, სამაგიეროდ ჩვენს არქიელს ყვითელი სირმიანი წითელი ქულაჯა აცვიაო... ჩვენი ეპისკოპოსების ადგილობრივ დაბინავება დიდი და უეჭველად სასარგებლო ნაბიჯი იქნება ხალხის და იერარქის ურთიერთ გაცნობა-დაახლოვების საქმეში.

სამწუხაროდ, სულ სხვა სურათს წარმოადგენს ქუთაისის სემინარიის აღდგენის შედეგები. აღდგენა ხომ განახლებაა იმისა, რაც იყო, ხოლო რასაც ქუთაისის სასულიერო სემინარია წარმოადგენდა, იმის განახლება დეე ადამიანმა მალე ვერ მოახერხოს, ხოლო ღმერთმან აგვაცდინოს!...

საკმარისია მოვიგონოთ, რომ ქუთაისის სემინარია 1894 წელიწადს გაიხსნა და მის გაჩენას შემდეგი საგულისხმო გარემოება უძღოდა წინა. 1893 წელს თბილისის სასულიერო სემინარიაში ჩვეულებრივი, ერთი მრავალთაგანი არეულობა მოხდა. სწავლა მთელი წლით შეწყდა. სემინარიის იმ დროინდელი რექტორი, არქიმანდრიტი სერაფიმე, იმ აზრისა იყო და არც მალავდა, რომ სემინარიაში არეულობა ვითომდა „იმერლებმა“ მოახდინეს და რუსებ-ბერძნებ-აისორების „კრამოლისაგან“ დასაცველად საჭიროა იმერ-ამერლების გათიშვა, ერთმანეთს მოშორებაო. ამ აზრს მხარი დაუჭირეს მაშინდელმა ეგზარხოსმა არქი-ეპისკოპოსმა ვლადიმერმა, და სინოდის ობერ-პროკურორმა პობედონოსცევმა და—1894 წლის ენკენისთვეში ქუთაისში საკუთარი სემინარია დაარსეს, ხოლო თბილისის სემინარიაში იმერლების მიღება შეწყვიტეს. მაგრამ „სამართალმა პური სჭამა“, რაც თბილისში დათესეს, ქუთაისში მოიმკეს. ქუთაისის სემინარიაში უარესი არეულობა მოხდა—და მიჰკეტეს.

აი რა ისტორიული წარსული აქვს ქუთაისის სემინარიას!.. მისი ხელმეორედ გახსნა მხოლოდ და მხოლოდ მაშინ იქნება ჩვენთვის სასარგებლო და სასიხარულო, თუ ეს სემინარია ნამდვილი ქართული, ეროვნული სემინარია იქნება, სომხების ნერსესიან სემინარიის მსგავსი. მაგრამ, როგორც უეჭველი წყაროდან ვიცით, ამაზედ არავის ზრუნვეა და არავის ფიქრადაც არ მოსვლია. ხოლო ძველი სახით მისი აღდგენა განახლება იყო იმ სამარცხვინო და უგუნური „იმერ-ამერლობისა“, რომელიც ძლივ-ძლივს მიეცა დავიწყებას 1907—1908 წლ. განგაშის შემდეგ და რომლის პირშავი მოციქულები ისე საეჭვოდ დატრიალებენ საკითხს თავზედ, როგორც ყორნები ლეშსა. გვრწამს, რომ ქუთაისის სემინარიის აღდგენის მოთავეებს აზრად არ ჰქონდათ გათიშვა-განშორება, მაგრამ ფაქტიურად ეს ასე მოხდება.

ქუთაისის სემინარიის აღდგენას კიდევ რაიმე მნიშვნელობა ექნებოდა იმ შემთხვევაში, თუ რომ თბილისის სემინარია [illegible] მოსწავლეთა რიცხვს ვერ დაიტევდა. მაგრამ ნამდვილად იგი თითქმის ცარიელია...

მაშ რა აზრია ქუთაისის სემინარიის აღდგენაში? ნუ თუ მხოლოდ ის, რომ მოწაფეს სამიოდე მანეთით უფრო იაფად დაუჯდეს ქუთაისში ცხოვრება? მაგრამ ეს ხომ დაკინინება-დახურდავებაა ეროვნული დი მეცნიერული პრინციპებისა! სხვა არა იყოს, რომელი სასწაულით და რა წყაროდან შეუძლია შეიძინოს ქუთაისის სემინარიამ დღევანდელ პირობებში ის ბიბლიოთეკა, რომლითაც სამართლიანად ამაყობს თბილისის სემინარია? ან შეიძლება მარტო სახელმძღვანელო წიგნაკებით აპირობენ ჩვენი მომავალი სამღვდელოების აღზრდა-განვითარებას? თუ მხოლოდ ისტორიულ „ბურსის“ და სამონასტრო რეჟიმის გამოცოცხლებას აპირობენ, ქუთაისი ამ მიზანსაც არ შეეფერება: რომელიმე მთა-წმინდა ან ბიჭვინთა უფრო ხელსაყრელია ამ მხრივ. თუ სულიერ საზრდოს და წრეს გავლენის მსხვერპლად მიტანა საჭიროა, მხოლოდ ეროვნულ მიზნებს, წმინდა ქართულ სემინარიას შეიძლება შეეწიროს ეს მსხვერპლი. ხოლო თუ ქუთაისის სემინარია საერთო ტიპისა იქნება და არა ეროვნული ქართული, მისი აღდგენა ყოველსავე გონივრულ მიზანს მოკლებული იქნება. უტყუარი ჭეშმარიტებაა, რომ ვინც მთელი საღამო ბნელაში ზის, ორი კაპეიკის ნავთი ვამოვიზოგოვო, ის მეტ წაგებაშია ვიდრე ის, ვინც იმ საღამოს მანეთს დახარჯავს სინათლეში, მაგრამ ამ სინათლეს საჭირო საქმეს მოახმარებს.

ახელი

*) გაზ. „საქართველო“ № 26

**) „Вѣстн. Экзархата“ 1916 წლ. № 1—2, გვ. 3—4. ხსენებულ უკაზის მეოთხ მუხლში ნათქვამია: „Мѣстожительство новому превосвященному Алавердскому назначить въ Шуамтинскомъ монастырѣ, что близъ гор. Телава“...

# მცირე შენიშვნა

(წერილი რედაქციის მიმართ)

ნება მოგვეცით თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით გამოვთქვათ აღშფოთება და გულის ტკივილი იმ ღრმა უსამართლობის გამო, რომლის მოწამეც გახლდით სამშაბათს, 12 აპრილს, „ქართულ კულტურულ დაწესებულებათა კავშირის“ პირველ კრებაზე. ამ კავშირში შედის ქალთა რამდენიმე საზოგადოება, თითქმის ყოველ ქართულ კულტურულ დაწესებულებაში მუშაობენ ქალები, პირველ კრების დელეგატებათაც არჩეული იყვნენ სხვა საზოგადოებიდგან არა ნაკლებ ოცი ქალისა და გამგეობის წევრად კი არა თუ არ ამოირჩიეს არც ერთი ქალი, არც კი იყვნენ ისინი საკმაო რიცხვით დასახელებულნი.

იმ ბლოკმაც კი, რომელშიაც პარტიის წარმომადგენელნი შედიოდნენ, იმ პარტიების, რომელთ პროგრამებში ფართო ადგილი უკავია ქალთა თანასწორობას და ქალთა თავისუფლებას და სიტყვითაც და წერითაც ვითომ თანაუგრძნობენ ქალთა საკითხს, თავის სიაში არ შეიტანა არც ერთი ქალი. ჩვენ ამით ღრმა შეურაცხყოფილი ვართ. ეს მუსულმანთა დეპუტაციის პატივსაცემ ზეიმსა და ლხინში დაუპატიჟებლობის მსგავსი რამ კი არ არის. მაშინ ჩვენ მხოლოდ ნაწყენი ვიყავით და არა შეურაცხყოფილი. აქ კი სხვაა. ქალთა გამორიცხვა იმ სიიდგან, რომელშიაც დასახელებულნი იყვნენ ისინი, ვინც პარტიებს მიაჩნდა ღირსად სათავეში ჩასდგომოდა ამ კავშირს, შეიძლება იმით ახსნას ვინმემ, რომ ბლოკი ართვლის ქართველ ქალებს იმდენად შეგნებულად და მომზადებულად, რომ ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმის სათავეში მოხვდნენ, მაგრამ არა, ეს ასე არ აიხსნება.

ბლოკმა კარგად იცოდა, რომ დელეგატთა შორის იყვნენ ქართულ კულტურულ დაწესებულებათა თავმჯდომარე ქალები, რომელნიც არა ნაკლებ ენერგიით და კეთილნაყოფიერებით მუშაობენ, ვიდრე თავ-მჯდომარე მამაკაცები; ისეც კარგად უნდა სცოდნოდა ბლოკს, რომ დელეგატებთ შორის იყვნენ ისეთი მანდილოსნებიც, რომელნიც არც ცოდნით, არც საქმის შეგნებით და არც ენერგიით არ ჩამოუვარდებიან იმ პირთ, რომელნიც სიაში შეტანილნი იყვნენ.

რით აიხსნება ასეთი უსამართლობა და შეცდომა, თუ არა იმით, რომ ამ პარტიებს მხოლოდ პროგრამებში შეაქვთ და ენაზე აკერიათ ქალთა-თანასწორობა, თორემ ღრმათ შეგნებული, პრინციპიალურად შეთვისებული არა აქვთ ეს მცნება და ისინი ევროპიულ კანში ჯერ ისევ აზიელები არიან.

თბილისის ქართველ ქალთა საზოგადოების გამგეობის მონდობილობით გამგეობის წევრი

ეფრ. ჰეჰიაძისა

# ავლევის კოოპერატივი და ჩარჩების ოინები

ამ რამდენიმე კვირის წინად ერეკლე ბადრიაშვილის დუქანში მედუქნემ გალახა ავლევის კოოპერატივის გამგეობის წევრი ფერშალი ი. თურქესტანიშვილი. აღდგომა დღეს გამგეობის წევრი ვანო ჰიაურელი გალახა ვაჭარმა ს. ფ.

და ავლევის და ცერონისის მედუქნეები გალახვით ემუქრებიან ავლევის კოოპერატივის მოანგარიშეს იასონ გამდლიშვილს.

ეს არა საკადრისი საქციელი მოიმოქმედეს ავლევის კოოპერატივის დაარსებისა გამო.

ავლევის კოოპერატივის ამხანაგობას, ვაუწყებ რა ამ მეტად დამაფიქრებელ ამბავს, მოვაგონებ, რომ საჭიროა მოახდინოს სასწრაფო კრება და შესაფერი განაჩენი გამოიტანოს და მასთანვე ღონისძიება მიიღოს მათ ასალაგმავათ.

ფრონის ხეობის საზოგადოებაც, თუ რომ მათ შეგნებული აქვთ კოოპერატივის მნიშვნელობა და მათი განვითარება, მოვალეა ამ შემთხვევაში მხარი დაუჭიროს. კოოპერატივის მმართველებმა გამოაცხადეს, თუ ამხანაგობა არავითარ ღონისძიებას არ მიიღებს, იძულებულნი ვიქნებით, თავი გავანებოთ კოოპერატივსაო.

ყველას გვმართებს ამას ანგარიში გაუწიოთ.

Legatus.

# საყურადღებო ამბავი

**„ზაკავკაზსკაია რეჩის“** ამ უქმეების წინ ერთ-ერთ ნომერში ვინმე მორწმუნე შიშს აცხადებდა, ვაი თუ მომავალ დღესასწაულებში მორწმუნე ქართველობას არ ეღირსოს სადღესასწაულო ქართული წირვა-ლოცვა მღვდელმთავრის მსახურებითაო. შიში გამართლდა. როგორც 105 წლის განმავლობაში, ისე არც ეხლა ჰღირსებია ივერიის ეკლესიას ქართული სამღვდელმთავრო ღვთის მსახურება არც ვნების კვირაში, არც აღდგომასა.

ამ სამწუხარო ამბის მიზეზი ჯერ იყო განზრახვა, ივერიის კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის მოსპობისა გამარუსებელის პოლიტიკით, რომელსაც რუსეთის სინოდი აწარმოებდა უწინ, და ისე სჩანს, არც ეხლა უნდა უშვებდნენ ხელსა მამა ვოსტორგოვი ვლადიმირ და მაკარ მიტროპოლიტები და ტუტი კვანტი, რომელთაც ჰსურთ კავკასიის სამიტროპოლიტოს დაარსება ივერიის ეკლესიისავე მოსასპობად. დავით ეპისკოპოსის და ინოკენტი ექზარხოსის შორის უთანხმოების მიზეზი უმთავრესად ის იყო, რომ დავით ეპისკოპოსს, როგორც სვეტიცხოვლის ერთგულ მსახურს, დიდი მისწრაფება ჰქონდა ქართული ღვთის მსახურებისა ბრწყინვალე დღესასწაულებში, მაგრამ კირ-ინოკენტი ხელს უშლიდა, როგორც უფროსი, კიდეც უბრძანებდა, არ ეწირა ქართულად. დავით ეპისკოპოსმა ვეღარ გაუძლო თავისი მეუფის მძლავრობას და ეს ამბავი ბეჭდვით გამოაცხადა თავის რუსულ ბროშურაში, რომელიც ივერიის ეკლესიის ავტოკეფალიის საქმეებს ეხება.

მას უკან რაკი გამარუსებელი პოლიტიკისაგან არაფერი გამოდნა და თვით რუსეთის ეკლესიის არა კანონიერი მდგომარეობა დამაფიქრებელი შეიქმნა ერთგვარი მორწმუნე, გავლენიანი რუსებისა, როგორც ერისკაცთა, ისე სამღვდელოთა შორისაც, პეტროგრადის მიტროპოლიტმა პიტირიმმა საქართველოს ექსარხოსობის დროს მოციქულებრივის გაბედულობით ასმინა თავის სამწყსო ქართველობას ღვთის სიტყვა მშობლიური ქართული ენითა. ეხლა პლატონ ექსარხოსმაც, შეიძლება, ანგარიში გაუწია მორწმუნე ქართველ კაცის ღაღადსა და ურჩია თუ უბრძანა ერთს ქართველს მღვდელმთავარს აღდგომის ცისკარი და წირვა შეესრულებინა ქვაშვეთის ტაძარში. მაგრამ ქვაშვეთს იმ ღამეს თვალით არ უნახავს მღვდელმთავრის ქართული წირვა. ეს ამბავი სარწმუნოდ გავრცელდა ქართველ საზოგადოებაში. სამწუხარო და სავალალოა...

**სვეტიცხოვლელი.**

# კულტურულ-განმანათლებელ საზოგ. კავშირი

12 აპრილის კრება.

(დასასრული)

წაკითხულ და დამტკიცებულ იქმნა კავშირის შემოსავალ-გასავლის ანგარიში 1915 წლის 4 გიორგობისთვიდან ვიდრე 1916 წლის 12 აპრილამდე.

როგორც ამ ანგარიშიდან სჩანს, კავშირს შემოსვლია: საწევრო გადასახადი 725 მან.; შემოწირულება საგანგებო დანიშნულებით 20 მან. და დახმარება ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობისაგან 400 მან., სულ 1.145 მანეთი ამ ფულიდან დახარჯულა 70 მან. 34 კაპ. და ბანკში აქვს შენახული 1.074 მან. 66 კაპ.

**ქ-ნი ან. ხოშტარია** მიესალმა კრებას გორის ქალთა საზოგადოების („მანდილოსანის“) მხრივ და აღნიშნა დიადი მნიშვნელობა კავშირის დაარსებისა.

**ბ-ნნი გრ. ურატაძე, ნ. რამიშვილი და ევგ. გეგეჭკორი** ურჩევდნენ კრებას კავშირში კოოპერატიული დაწესებულებანიც იქმნან მიღებული, რადგან ისინიც ასე თუ ისე საკულტურო საქმეს ემსახურებიან და აგრეთვე გააფართოებენ კავშირის სამოქმედო ასპარეზს.

**პ. ა. გოთუა** მიემხრო წინა ორატორების აზრს და ამტკიცებდა, რომ წიგნების გამომცემელი ამხანაგობანიც უნდა იქმნან მიღებული კავშირში და ამ აზრით უნდა შეივსოს წესდების მე-5 მუხლიო.

**ბ-ნნი შ. მესხიშვილი და გრ. ლაღიძე** წინააღუდგნენ პირველ ორატორების აზრს და ამტკიცებდნენ, რომ კოოპერატივებს ვიწრო შემოფარგლული პროგრამა აქვთ, რომელიც მხოლოდ კომერციულ ასპარეზს წარმოადგენს და ამიტომ კავშირის წესდების მიხედვით არ შეიძლება მათი წევრებად მიღება.

**გ. თ. ჟორდანიას** აზრით კოოპერატივების ამხანაგებად მიღება წესდების შეცვლას თხოულობს, ხოლო წესდების შეცვლაზე დღეს ლაპარაკიც კი არ შეიძლება, რადგან წესდების მე-16 მუხლის ძალით წესდების ამა თუ იმ მუხლის შეცვლა - შევსების შესახებ მოხსენება გამგეობამ უნდა წარმოუდგინოს საზოგადო კრებას. ორატორის აზრით, კრებას შეუძლიან მხოლოდ სურვილი გამოსთქვას ასეთი ცვლილების მოხდენის შესახებ.

**ბ-ნი ე. თაყაიშვილი და გ. ყაზბეგი** ამტკიცებდნენ, რომ კრების ყოველივე დადგენილებას საფუძვლად კანონი უნდა ედვას, თორემ უამისოდ ვერც ერთი დადგენილება ძალაში ვერ შევა. კოოპერატივების მიღება წევრებად წესდების ძალით არ შეიძლება და რაც უნდა დაადგინოთ ამათ შესახებ, მისი განხორციელება არ შეიძლება, სანამ წესდებაში შესაფერისი ცვლილება არ მოხდებაო. ამიტომ კრების დღევანდელ სურვილის მხედველობაში იქონიებს კავშირის ახალი გამგეობაო.

შემდეგ თავმჯდომარემ განაცხადა; გამგეობის 7 წევრი და 3 კანდიდატია ასარჩევიო და სთხოვა კრებას კანდიდატები დაესახელებია.

**გ. მ. ლასხიშვილის** წინადადებით ცოტა ხნით კრება შესწყვიტეს და წევრებს დრო მიეცეთ კანდიდატების ასარჩევად.

კრების განახლებისთანავე ბ-ნმა **ნოე რამიშვილმა** განაცხადა, რომ კანდიდატების შესახებ ჯგუფები შეთანხმდნენო და წაიკითხა საერთო კანდიდატების სია, რომელშიაც გამგეობის წევრებად დასახელებული იყვნენ გ. ნ. ყაზბეგი, ე. ს. თაყაიშვილი, პ. ა. გოთუა, გ. მ. ლასხიშვილი, გ. ს. რცხილაძე, ნოე რამიშვილი და გ. ე. ცინცაძე; მათ კანდიდატებად—შ. ვ. მესხიშვილი, ი. პ. ვართაგავა და ა. ს. ლომთათიძე. ბ-ნმა რამიშვილმა მოითხოვა, რომ ბლოკის მიერ დასახელებული კანდიდატები ერთხმად აერჩია კრებას. წინანდელ ორატორს მიემხრო **შ. მესხიშვილი** და მანაც მოითხოვა, რომ აღნიშნული კანდიდატები კენჭის უყრელად აერჩია კრებას.

**გ. თ. ჟორდანიამ** განაცხადა, რომ მე არც ერთ პარტიას არ ვეკუთვნი და თუ კანდიდატად დამასახელებენ, მზადა ვარ კენჭი ვიყაროვო. ამასთანავე ორატორმა მოითხოვა, რომ კენჭის ყრა ფარულად მომხდარიყო.

თავმჯდომარემ მიიწვია ასისტენტად ა. მ. კრინიცკი და წევრებს ბარათები დაურიგა კანდიდატების დასაწერად. დიდძალ ხმის უმეტესობით დასახელებულ იქმნენ ბლოკის მიერ არჩეული კანდიდატები, ხოლო თითო ოროლა ხმით 19 სხვა პირი. ბ-ნ გ. ჟორდანიას გარდა უკანასკნელებმა უარი განაცხადეს კენჭის ყრაზე. აგრეთვე უარი განაცხადა ე. ს. თაყაიშვილმაც და თავის უარს იმით ასაბუთებდა, რომ ერთი და იგივე კაცი არ უნდა იყვეს დატვირთული სხვადასხვა საქმეებით, თორემ მოვალეობის შესრულება გაუძნელდებაო. მაგრამ კრებამ საერთოდ სთხოვა ბ-ნს თაყაიშვილს და უარი გადაათქმევინა.

კრება საღამოს 4 საათ. 30 წ. დასრულდა.

# წერილი საინგილოდან

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ვისაც ერთხელ მაინც უმოგზაურნია საინგილოში ადვილად შეამჩნევდა, რომ ერთი მეოთხედი მთელის საინგილოს მიწაწყლისა რიყეებს ანუ როგორც აქ ეძახიან ჩეილაღებს უჭირავთ, რომელნიც ქვითა და კლდე-ღორით სავსენი არიან. წლითი-წლობით ეს ჩეილაღები იზდებიან, ფართოვდებიან და დიდძალ ადგილ-მამულს და მიწაწყალს უტიალებენ და უპარტახებენ მცხოვრებლებს.

აი საქმე რაში არის. საინგილო ერთს დაქანებულ ადგილს წარმოადგენს, რომელსაც ერთის მხრით სახელდობრ ჩრდილოეთით აჰყუდებია კავკასიონის მთაგრეხილი, რომლიდანაც თავის მტერევით მიექანებიან ბარისაკენ მრავალი მდინარეები, რომელნიც ჩვეულებრივ დროს არაფერს საშიშს არ წარმოადგენენ, მაგრამ გაზაფხულზედ, როცა თოვლი დნობას დაიწყებს ნამდვილს ღვთის წყრომათ გახდებიან ხოლმე. მთიდან დაქანებულ მდინარეს თან მოაქვს ყოველივე, ქვა, კლდეღორე, ხეები, ჯირკები და ყოველივე ამას ჰფანტავს და ზედ აყრის მინდორველსა და ავსებს ყველა იმ ადგილებს სადაც-კი დაბლობი და სწორი ადგილი მოიძებნება. ჰხედავთ მშვენიერ ნახნავს, ხშირად შეღერებულ ყანას, მოვლილს ვენახს, მაგრამ აგერ მოვარდა თქეში, ან კიდევ თოვლმა ნამქერად დნობა დაიწყო, ადიდდა მდინარე, მოიგიჟიანა თავი და მეორე დღეს ძველ მოვლილ ადგილზედ კლდე-ღორეღა გხვდებათ, ქვიშა სილაში არეული. გული უსკდება მცხოვრებს, სასოწარკვეთილებას ეძლევა, მთელი წლის სარჩო-საზადებელი დაეღუპა, ულმობელმა სტიქიონმა ჩანთქა. გულ-ხელ დაკრეფილი შესცქერს ბუნების ამ მრისხანებას და არ იცის რა ჰქნას, რა მალამო დასდოს, საით მოუაროს.

ასეთი ამბები ტრიალდება მთელს საინგილოში თითქმის ყოველწლივ უკლებლივ. რაც დრო გადის ჩეილაღთა სამეფო უფრო და უფრო ფართოვდება და მეტს ადგილს იჭერს. რასაკვირველია მთავარი მიზეზი ბუნების ასეთის არა ჩვეულებრივის მრისხანებისა ტყეების გაჩეხვა არის—ამ წყალთა და მდინარეთა შემნახველმასაზრდოებლისა. რაც დრო გადის ტყეები თანდათან იჩეხება, იჩეხება უსწორ-მასწორად, მთა ტიტვლდება და ამიტომ გატიტვლებულსა და გამშრალს მთა-კლდეში სისველე ფეხს ვეღარ იკიდებს, რის გამოც რაც დრო გადის მდინარენიც უფრო მეტს სიმკაცრეს იჩენენ, რეცხავს მთებს და თან წამოღებულს ღორღსა და ქვაკლდეს ბარს აყრის გულზედ.

ყოველ გაზაფხულზედ თითქმის ერთი და იგივე ამბავი ტრიალდება. გლეხ-კაცი დარწმუნებული არ არის თუ მისი ნათესი და ნაჭირნახულევი მეტადრე თუ იგი მდინარის სიახლოვეს მდებარეობს, რომ ბუნების მრისხანებას გადაურჩეს.

ყველაზედ უფრო საშიშნი და მაზარალებელნი მთელს საინგილოში შემდეგი მდინარენი არიან: მაჭის წყალი (თათრულის ტერმინოლოგიით მაზუმჩაი) ბლაქნის წყალი, კატეხისა, თალისა და ქურსუხისა. ყველა მათგან მოსვენება არა აქვთ მთელს საინგილოს და უმთავრესად კი ბლაქინსა და კაკსა. ამ ორთავე სოფელში იმდენი ღორღი და ქვიშა-რიყე ჰყრია და ისეთს უშველებელსა და თვალუწვდენელს მანძილზედ, რომ კაცი საკვირველებიდან გამოდის საიდან მოზიდა და რანაირად მდინარემ ეს უშველებელი და უზარმაზარი ქვა-კლდეო. მაგრამ მთის გიჟ-მაჟ მდინარეს როგორცა სჩანს ყველაფერი შესძლებია.

რას ღონობს ხალხი და მმართველობა ამ მუდმივი ხალხის აწიოკების თავიდგან ასაცილებლად, საჭიროა ვიკითხოთ. ყოველ გაზაფხულზედ ხეები გამოიფითქავს თუ არა ერთი ფაცაფუცი შეუდგებათ ყველას და ბენდის (плотина) გაკეთების თადარიგს შეუდგებიან ხოლმე. ეს ბენდი ჩვეულებრივ სახელდახელოდ გაკეთებული სიმაგრეა მდინარის პირს ფიჩხისა და ქვებისაგან, რომელსაც თითქმის არაფერი არსებითი მნიშვნელობა არა აქვს და ვერაფერს სათანადო ძალს ვერ წარმოადგენს მდინარის საწინააღმდეგოდ. მუშაობას არავინ ინჟინერი ან უბრალო ტეხნიკი მაინც ყურს არ უგდებს და სრულიად თავიანთი მოსაზრებით ხელმძღვანელობენ და როგორც გაუჭრით საკუთარი ჭკუა და გონება ისე აკეთებენ და ამაგრებენ მდინარეს. სწორედ ამის გამოა, რომ მათგან საყველპუროდ გაკეთებული ბენდი ერთს წელსაც ვერ სძლებს ხოლმე და აუარებელი შრომა და ფიჩხი კი ტიალდება მის გასაკეთებლად.

**ზ. ედილი.**

(დასასრული იქნება)

# „ვიღაც მეგრელი“

**(წერილი რედაქციის მიმართ).**

ბ. აპ. წ—ძე თავისს მეტად საყურადღებო „წერილში აჭარიდან“, როცა მაჭახლის ხეობას ეხება, სხვათა შორის აღნიშნავს „ვინმე პეტროს ეშრაყიანის“ საქმეთა საგმიროთ, ხალხი რომ დღესაც წყევლა-კრულვითა და ზიზღით იხსენიებს წინააღმდეგ უცნობ ქართველ „კამანდირის“-ა, რომელსაც ლოცვა-კურთხევას უთვლის, და შემდეგ განაგრძობს („საქართველო“ № 71):

„არ ემადლიერებიან არც ერთ ყოფილ მწერალს (ქათიმს) ვიღაც მეგრელს. რომელმაც თურმე „მღვრიე წყალში“ ნადირობის საოცარი უნარი გამოიჩინა და ვინც თითო თუმანი არ ნისცა აჭერინებდა. როგორც გადმომცეს მისი წყალობით (იმიტომ რომ ქრთამი არ მისცა) სხვათა შორის გადაუსახლებიათ ორ ოდა დამწვარი აჭარის ამართელი 80 წლის ჰინდაროღლ“.

ბოდიშს ვიხდი პატივცემულ ავტორთან, მაგრამ, თუ სახელი და გვარი ვერ გაიგო იმ ვიღაც მეგრელისა, მაშინ მხოლოდ ნწუხარებით უნდა მოეხხენებინა, რომ ჩვენებურივე, ე. ი. საზოგადოდ ქართველი იყო, და მის მეგრელობისთვის-კი ხაზი არ გაესვა და, თუ სახელი და გვარი გაიგო, უნდა სრულიად გამოემჟღავნებინა, რადგან ყოველ შემთხვევაში უმჯობესია ერთ მეგრელს ხვდეს დამსახურებული გულისწყრომა აღშფოთებულ ქართველ საზოგადოებისა, ვინემ ყველას. მით უმეტეს უხერხულად მიმაჩნია ეს ხაზის გასმა, რომ ცოტა ზევით ავტორი ქებით იხსენიებს ახლანდელ ქათიმს, გურულ ვანო მახარაძეს. ჩემის აზრით, არც აქ იყო საჭირო მიმატება, რომ ვანო მახარაძე გურულია, რადგან თვითონ გვარი ამტკიცებს მის, როგორც საზოგადოდ ქართველობას, ისე გურულობასაც თუმცა თუ ვისმეს არ ეცოდინებოდა, რომ მახარაძე გურული გვარია და საერთოდ ქართულ გვარებში აურევია, არც ამით დაშავდებოდა რამე, თუ, რასაკვირველია, სწორედ ამ გურულობის ხაზის გასმა არ უნდოდა ავტორს და მაშინ ხომ ყოვლად შეუწყნარებელად უნდა ჩაითვალოს ამ ნაირად გურულისა და მეგრელის ერთმანეთთან დაპირდაპირება? მაგრამ რაც იყო, იყო და ეხლა-კი უეჭველად უნდა გამოამჟღავნოს ბ. აპ. წ—ძემ იმ მეგრელის სახელი და გვარი (თუ არ იცის, უნდა შეიტყოს ან გამოკითხვით, ან მის მიწერ-მოწერისგან, როგორც ქათიმის), რადგან, ვიმეორებ უმჯობესია, ერთ მეგრელს ხვდეს ჩვენი გულის წყრომა, ვინემ საზოგადოდ მეგრელი იყოს ჩირქ მოცხებული. გარწმუნებთ, თუნდ ჩემი საკუთარი ძმაც იყოს ის საზიზღარი, უფრო ნაკლებ ვიქნებოდი გულნატკენი იმის ვინაობის გამოცხადებით, ვინემ ახლა ვარ, რადგან, როგორც ჩვენი ხალხიც ამბობს, ერთ და იმავე ხისგან ჯვარიც შეიძლება გაითალოს და ბარიც და თვით უკეთილშობილეს კარლ მოორის ძმა, უსაძაგლესი ფრანც მოორი იყო!..

**დუტუ მეგრელი.**

# წერილი გორიდან

ახირებული ქალაქია ჩვენი გორი. ყოველისფერი ახირებული აქ... გაიხსენეთ ქალაქის თავის არჩევნები, აურ-ზაური, შემდეგ მივიწყება და ძილი, საზოგადო გულგრილობა. ყველასაგან დავიწყებულია ჩვენი ქალაქი. დაგვივიწყეს მსახიობებმაც, ლექტორებმაც. წელიწადში ორჯერ-სამჯერ თუ მოგვიგონებს რომელიმე გულშემატკივარი ლექტორი ან მსახიობი, თორემ სხვაფრივ არავის ვახსოვართ, ადგილობრივ კი არავითარი ძალა არა გვაქვს სამოქმედოთა. გორის სახალხო უნივერსიტეტზე ხომ ლაპარაკიც მეტია. გორის ბნელ ცხოვრებაში ამ ბოლო დროს შეაშუქა ნათელმა სხივმა: გაიხსნა მომხმარებელთა საზოგადოების დუქანი „გორის კოოპერატივი“. ფრიად სასიამოვნო მოვლენაა გორელების ცხოვრებაში, თუმცა გორის მდაბიო მცხოვრებლები ვერ უცქერიან კოოპერატივს ნდობით, „თორემეტ მანეთსაც დავკარგავ, საქონელსაც იაფად ვერ ვიყიდიო“. კარგი და სასურველი იქნებოდა, რომ იმ პირთ, ვისაც შეტკივა გული ხალხისთვის, ვინც სახავენ თავიანთ თავს მუშა ხალხის ინტერესების დამცველად, (ესენი კი ბლომად არიან გორში), განემარტათ ამ ხალხისთვის მოკლედ და მარტივად სასარგებლო მნიშვნელობა კოოპერაციისა. ამ მიზნით არსებობს გორში სახალხო უნივერსიტეტი, რომელსაც ხალხისთვის ჯერჯერობით არაფერი გაუკეთებია.

გორის კოოპერატივის დაარსებას გორელი ვაჭრები მტრულად შეხვდნენ, აქა-იქ გაისმის კიდეც დაცინვა. მაგრამ, იმედია, ამ წვრილმანებს არ მიაქცევს ყურადღებას და განაგრძობს სასარგებლო მუშაობას. ვუსურვოთ მას ბრწყინვალე მომავალი.

ელი.

# შემოსავლის კვალობითი გადასახადი

სულ მოკლე ხანში სახელმწიფო სათათბირომ და სახელმწიფო საბჭომ განიხილეს და მიიღეს ახალი კანონპროექტი შემოსავლის კვალობითი გადასახადის შემოღებისა. ეს პროექტი უთუოდ ამ დღეებში უკვე კანონად იქცევა. მოგვყავს გადასახადების ნუსხა.

ვისაც წლიური შემოსავალი აქვს 850 მ. ნაკლები, ის ამ გადასახადს არ იხდის. მოგვყავს სქემა:

1) ვისაც წლიური შემოსავალი აქვს 850 მანეთიდან, 900 მანეთამდე, ის წლიურად გადიხდის 6 მანეთს.

| | | |
|---|---|---|
| 2) წლიურ შემოსავალზე 900 მ.—1000 მ.—გადასახადი | 7 | მან. |
| 3) 1,000—1,100 მ. | 8 | „ |
| 4) 1,100—1,200 „ | 9 | „ |
| 5) 1,200—1,400 „ | 11 | „ |
| 6) 1,400—1,600 „ | 14 | „ |
| 7) 1,600—1,800 „ | 17 | „ |
| 8) 1,800—2,000 „ | 20 | „ |
| 9) 2,000—2,300 „ | 25 | „ |
| 10) 2,300—2,600 „ | 31 | „ |
| 37) 20,000—21,000 „ | 1,061 | „ |
| 52) 50,000—55,000 „ | 3,658 | „ |

400 ათას მანეთზე მეტს წლიურ შემოსავალს დაედება გადასახადი 48 ათასი მან.

# კიკნა-ფშაველის წიგნის აგენტებს

კიკნა-ფშაველის პოემათა და რჩეულ ლექსთა კრებულის გამოცემის დრო უკვე მოახლოვდა. საჭირო მასალები კრიტიკული წერილის დასამზადებლად კრიტიკოს დავ. კასრაძეს დიდი ხანია გადაეცა და სულ მოკლე ხანში ყველაფერი მზად იქნება. ეხლანდელი მდგომარეობისა, სიძვირისა და სხვა ვითარებათა გამო საჭირო იყო ყოველგვარი დახმარება. ეს დახმარება კი გამოიხატება უპირველესად ყოვლისა იმ გარემოებაში, რომ ბევრმა პატივსაცემმა პირებმა აღნიშნულ ახალგაზრდა პოეტის წიგნის ხელის მოსაწერი საკვიტანციო წიგნაკები მრავლად დაირიგეს და წიგნის გამოცემის საშუალება უფრო გაგვიადვილეს. ეხლა კი პატივცემულ აგენტებს გამოვუცხადებთ [illegible] სახლით მივმართავ [illegible] თავისი დახმარება უფრო კეთილჰყონ და ხელის მოწერის ანგარიშების გასწორება დააჩქარონ. ეს, ცხადია, აუცილებელი საჭიროებაა, და, ამისათვის, ფულისა და სხვა ცნობათა გამოგზავნა შეიძლება ასეთის მისამართით: გრიგოლ ზურაბის ძე ხერხეულიძეს—თბილისი, პარკოვსკი ქ. სახლ. № 27—ნაძალადევში.

პატივისცემით **მიხ. ხერხეულიძე.**

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

# ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისიდან გადის:**

| | | № | ს. წ. |
|---|---|---|---|
| ბათომისკენ | სამგ. მ. | 9 | 8.53 სად. |
| „ | საფ. „ | 3 | 9.58 დილ. |
| ხაშურისკენ | სამგ. „ | 19-20 | 3.20 ნაშ. |
| ბაქოსკენ | ჩქარი „ | 4 | 10.20 სად. |
| „ | ჩქარი „ | 6 | 12.8 დღის |
| „ | სამგ. „ | 8 | 11.13 ღამ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | 11.13 ღამ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათომიდან | საფ. მ. | 4 | 9.30 სად. |
| „ | სამგ. „ | 10 | 9.51 დილ. |
| ბაქოდან | საფ. „ | 3 | 9.3 დილ. |
| „ | ჩქარი „ | 5 | 7.41 სად. |
| „ | სამგ. „ | 7 | 1.42 ნაშ. |
| ხაშურიდან | სამგ. „ | 19-20 | 7.25 დილ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | 8.8 დილ. |

# კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სჭარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ტფილისიდან | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| ნავთლუღი-ამიერ კავ. | 9 „ | 23 „ | „ |
| ნავთლუღი-კახეთისა. | 9 „ | 43 „ | „ |
| ვაზიანიდან | 10 „ | 42 „ | „ |
| იორიდან | 11 „ | 35 „ | „ |
| საგარეჯოდან | 12 „ | 17 „ | „ |
| ბადიაურიდან | 1 „ | 15 | დღის |
| მელაანიდან | 2 „ | 37 „ | „ |
| გურჯაანიდან | 4 „ | 08 „ | „ |
| ვაჩნაძიანიდან | 4 „ | 58 „ | „ |
| თელავში მიდის | 5 „ | 35 „ | „ |
| გურჯაანიდან | 4 „ | 18 „ | „ |
| კარდენახიდან | 4 „ | 50 „ | „ |
| წნორის-წყალ. მიდის | 5 „ | 15 „ | „ |

**თ ე ლ ა ვ ი დ ა ნ**

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან | 9 „ | 45 „ | „ |
| გურჯაანიდან | 10 „ | 46 „ | „ |
| მელაანიდან | 12 „ | 02 „ | „ |
| ბადიაურიდან | 1 „ | 13 „ | დღის |
| საგარეჯოდან | 2 „ | 15 „ | „ |
| იორიდან | 2 „ | 53 „ | „ |
| ვაზიანიდან | 3 „ | 40 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. | 4 „ | 31 „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 4 „ | 46 „ | „ |
| თბილისში მიდის | 5 „ | 01 „ | „ |
| წნორის-წყლიდან | 9 ს. | 16 წ. | დილ. |
| კარდანახიდან | 9 „ | 46 „ | „ |
| გურჯაანში მოდის | 10 „ | 16 „ | „ |

**ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია**

# „განათლება“-ში

**იყიდება** ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

**წ ი გ ნ ი ს  მ ა ღ ა ზ ი ა**

# „ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).

**ი. დ. კ ი კ ნ ა ძ ი ს ა.**

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

# თევზის მრეწველნი
# ძმ. ძეძველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

# განყოფილება ავლაბარში

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-შვით**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.